„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ერთიანულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 10 (253) 26 ოქტომბერი ოთხშაბათი, 2016 წელი; ფასი 1 ლ.

**დემოკრატიის პარადოქსები**

არჩევნების გაკვეთილები და პოლიტიკური სტრიპტიზი

მე-3-გვ.



ქალაქ ფოთის 70-ე და 61-ე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის პირველი ტურის საბოლოო შედეგები

ცესკო

**ცენტრალური საარჩევნო კომისია საპარლამენტო არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის წინასწარ შედეგებს აქვეყნებს.**

მე-6-გვ.



**„ქართული ოცნების" ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატი ამომრჩეველს მიმართავს**

საზოგადოებას უნდა ახსოვდეს - მეორე ტური არჩევანია ნათელსა და ბნელს შორის

მე-3-გვ.



**დიმიტრი ქუმსიშვილი: ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 600 მლნ დოლარის ინვესტიციის განხორციელებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს**

მე-2-გვ.

საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მომავალი 4 წელი „ნაციონალების" საბოტაჟისა და ნგრევის გარეშე

## ეს არჩევნები ბოროტებისა და სიკეთის გადამწყვეტი ბრძოლაა- ივანიშვილის თუ სააკაშვილის გუნდი? არჩევანი თქვენზეა

ფაქტები განსჯისათვის: საქართველოში „ნაცების" 500 000 ამომრჩეველი, ანუ სახელმწიფო დამნაშავე, ან დანაშაულის ხელშემწყობი გვყოლია - აი, ქვეყნის თავსატეხი

**საქართველოში აშშ-ს ელჩის იან კელის შეფასებით - არჩევნებმა ქართველი ხალხის ნება გამოხატა**





**მასწავლებლის დღე - დღესასწაული ფოთში!**

[illegible]

[illegible]

საქართველოს მომავალს

მე-5-გვ.

**ცოტნეიდელი**



გამოვიდა „ფაზისის" საერო - სამეცნიერო აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის" მე-10 ტომი

მე-4-გვ.

კულტურა

**ფოთის რიტუალსერვისი ჯილდოს - „რეიტინგი ოქროს" მფლობელი**

ვახტანგ გოგიშვილი- მთელი ცხოვრება ხალხის სამსახურში



მე-5-გვ.

**ნუნუ ქელიძე-ქალი მწიგნობარი, მეცენატი, ქველმოქმედი**



მე-7-გვ.

# დიმიტრი ქუმსიშვილი: ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 600 მლნ დოლარის ინვესტიციის განხორციელებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს



ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 600 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებაზე პოტენციურ ინვესტორთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, – ამის შესახებ პირველმა ვიცე პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმადაც, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მმართველი არაბული კომპანია ,,რაკია ჯორჯიას" ნაცვლად სახელმწიფო ხდება.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, ,,რას ალ ხაიმასთან" ("რაკია ჯორჯიას" მფლობელი კომპანია) საუკეთესო ურთიერთობები არსებობს.

,,ეს არის ჯგუფი, რომელიც დღესდღეისობით არის საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი აქტივების მფლობელი, მაგალითად, სასტუმრო "შერატონი", სადაც ძალიან აქტიურად მიმდინარეობს ინვესტიციები – 30 მილიონი დოლარი იდება და ჩვენ გვექნება განახლებული "შერატონი" წლის ბოლოსთვის. ეს არის ისეთი აქტივი, როგორიცაა " თბილისი მოლი", სადაც ასევე "რას ალ ხაიმას" საინვესტიციო ხელისუფლება ფიქრობს შემდგომში გაფართოებას და ინვესტიციების განხორციელებას. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივი, რომელიც კომპანიას გააჩნია", – განაცხადა ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, თავის დროზე "რას ალ ხაიმას" საინვესტიციო ხელისუფლება იყო ასევე ფოთის პორტის მფლობელი, რომელიც მათ შემდგომ გაყიდეს.

,,თითონ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და ფოთის აეროპორტი, რომელიც ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, კლასტერული ხედვა იყო, რომელიც გააჩნდა "რას ალ ხაიმას" საინვესტიციო ხელისუფლებას, ხოლო მას შემდეგ რაც ფოთის პორტი გაიყიდა, ინვესტიციები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო ფოთის აეროპორტსა და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, უკვე აღარ განხორციელდა და როგორც მოგახსენეთ, ეს არის ლოგიკა. შეთანხმება, რომელსაც ჩვენ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მფლობელთან – "რას ალ ხაიმას" საინვესტიციო ხელისუფლებასთან მივაღწიეთ მდგომარეობს შემდეგში – ჩვენ ეს აქტივი სახელმწიფოში დავიბრუნეთ. არ მინდა ციფრებში შევცდე, მაგრამ ჩემი პირადი შეხედულებით, ეს აქტივი 100-დან 150 მილიონ ლარამდე უნდა ღირდეს, შესაბამისად, დავიბრუნეთ 300 ჰექტარზე მეტი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და 150 ჰექტარი ფოთის აეროპორტი. დავიბრუნეთ სწორედ იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც გახდეს ჩვენი საინვესტიციო პოლიტიკის ინსტრუმენტი, სახელმწიფოს მიეცეს შესაძლებლობა აქტიურად გამოიყენოს ინდუსტრიული ზონა იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრი და დიდი ინვესტორები მოვიზიდოთ", – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ვიცე პრემიერის თქმით, სახელმწიფო მუშაობს ამ წუთში ძალიან მსხვილ ინდუსტრიულ ჯგუფთან და მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მის სახელს სავარაუდოდ, უახლოეს მოამავლში დაასახელებს.

,,600 მილიონ დოლარიან ინვესტიციებზე იქნება საუბარი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. აქედან გამომდინარე, მიზანი არის ის, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ასევე ფოთის აეროდრომი იყოს გამოყენებული როგორც ჩვენი საინვესტიციო პოლიტიკის იმპლემენტაციის ინსტრუმენტი", – განაცხადა ქუმსიშვილმა.

# ჩინეთი, ,,აბრეშუმის გზა-დიალოგის გზა"

## კულუარული პროექტები ფოთის საზღვაო ნავსადგურში



ნიკო ნიკოლაძის იდეა ძველი ,,აბრეშუმის გზის" შესახებ 1995 წელს სტრასბურგში ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო კორიდორების განვითარების მხარდაჭერის ფორმით გაცხადდა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოამზადეს ამ კორიდორის საკვანძო ელემენტის ფოთის პორტის რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციის პროექტები, მათ შორის ინვენსტიციების და პრეფერენციების მოცულობის მიხედვით გამოირჩეოდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) პროექტი, რომელიც მზად იყო 1997 წლისათვის და რომლის მომზადების ღირებულებამ შეადგინა 1,5 მილიონი დოლარი. პროექტის მომზადებაში ჩართული იყო ქართული მხარის სპეციალისტებიც.

როგორც ცნობილია USAID-ის პროგრამები ზოგადად მხარდაჭერილია აშშ-ს მთავრობისაგან, თუნდაც იმიტომ რომ USAID-ი ნაწილობრივად ფინანსდება კონგრესიდანაც, მაგრამ ფოთთის პორტთან მიმართებაში დაფიქსირდა აშშ-ს მთავრობის უპრეცედენტო მხარდაჭერა. 1995 წელს საქართველოში აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა უ. კერიმ წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ე. შევარდნაძეს, სადაც აღნიშნული იყო იმის შესახებ, რომ თუ კი საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერდა USAID-ის პროექტს, აშშ-ს მთავრობა მზად იყო გამოეძებნა მსხვილ ინვესტორთა კონსოლციუმი ფოთის პორტში 360 მილიონი დოლარის ინვენსტირებისათვის და 20-25 წლიანი მართვის უფლების ვადის გასვლის შემდეგ მოდერნიზებულ საერთაშორისო კლასის პორტს უსასყიდლოდ გადასცემდა საქართველოს მთავრობას.

1998 წელს ფოთის საკრებულოში ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები ადასტურებდნენ, რომ USAID-ის პროექტის თანახმად ფოთის ბიუჯეტი დასაწყისშივე მიიღებდა ერთჯერად 10 მილიონ დოლარიან პრეფერენციას. ეს წინადადება- 60-70 მილიონო ინვესტიცია ამერიკული მხრიდან წარმოადგენდა არაჩვეულებრივ ინვესტიციას- დროში გაწელილ გრანტს, მაგრამ მას ასრულება არ დაებედა.

1999 წლიდან საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ბიზნეს ჯგუფებმა ხელისუფლების მხარდაჭერით დაიწყეს ფოთის პორტის, რომელიც წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ნავმისადგომებზე კულუალური პროექტების განხორციელება: ისინი ობშორულ ზონებში არეგისტრირებდნენ ფსევდოინვესტორ კომპანიებს, რომელთა მიზანი იყო, ფულადი ნაკადების სახელმწიფო ყულაბიდან საკუთარ ყულაბაში გადამისამართება და ეს ხორციელდებოდა ერთობლივი საწარმოების ფარგლებში. ცალკეული ნავმისადგომების მიხედვით. ფოთის პორტი 2008 წლამდე მიუხედავად ორგანიზაციუსამართლებრივი ფორმის შეცვლისა, რომელიც განხორციელდა 2005 წელს კვლავ წარმოდგენილი იყო 100%-იანი სახსახელმწიფო წილით, ხოლო ნავმისადგომები გაცემული იყო გრძელვადიანი იჯარით.

2007 წელს საჯარო სივრცეში გავრცელდა ინფორმაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის პრივატიზებისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ, კონკურსი რამოდენიმეჯერ გადაიდო და 2008 წელს აზრის გიგანტებმა გადაწყვიტეს მისი პრივატიზება კონკურსის გარეშე, ფარულად, საზოგადოებრივ სივრცეში რაიმე ინფორმაციის გაჟონვის გარეშე. 2008 წლის 8 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ფოთის პორტის პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისების შესახებ არაბულ კომპანია ,,რას ალ ხაიმას" საინვესტიციო სააგენტოზე. გაყიდვა განხორციელდა 2 ეტაპად: I ტრანსაქცია შეადგენდა 56%-ის ღირებულებას, 90 მილიონ დოლარს. II ტრანსაქცია კი 65 მილიონ დოლარს 49% ოქროს აქციების ღირებულებებს, სულ პრივეტიზების ღირებულებამ შეადგინა 155 მილიონი დოლარი, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო აუდიტების შეფასებით ნავსადგურის ღირებულება აღემატებოდა 300 მილიონ დოლარს და მისი შესყიდვის მსურველებად დარეგისტრირებული იყვნენ ისეთი კომპანიები როგორიცაა ,,დუბაი ვორდი", ,,ჰამბურგის პორტი" და სხვა მრავალი (,,დუბაი ვორდი" წარმოადგენს დუბაის ეკონომიკური სასწაულის შემოქმედს 1979 წლიდან, ,,ჰამბურგის პორტი" კი თავისუფალი პორტის სტატუსის მატარებელია თითქმის 300 წლიანი გამოცდილებით, 1727 წლიდან). მათთან შედარებით ,,რას ალ ხაიმას" საინვესტიციო სააგენტო სანავსადგურო საქმეში სრულიად გამოუცდელ და უსახურ კომპანიას წარმოადგენდა, რაც ნავსადგურის მუშაობის შედეგებზე მალევე აისახა და ამ კომპანიამ როგორც თავად განაცხადეს მოგების მიღების მიზნით (?!) ნავსადგური 2011 წელს გაყიდა კომერციულად საიდუმლო ფასში (გაყიდა აქტივების 80%, 20% კი დარჩა მისი ჯგუფის წარმომადგენელს ,,რაკია ჯორჯიას") დანიურ კომპანია ,,მორელი-მაერსკიზე".

ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ თემას თუ რა მოხდა 2008 წლის 8 აპრილს ფოთის პორტის გასაიდუმლოებად გაყიდვის შემდგომ დღეებში. 15 აპრილს ფოთის საზღვაო ვაგზლის მოედანზე საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა დიდ თეთრ ბანერზე შავი ფანქრით გააკეთა წარწერა ფოთის პორტში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედების შესახებ და ფოთი გამოაცხადა დუბაი 2-ად, ამის შემდეგ ყველა ტელეარხებით გადაიცემოდა ფოთი-დუბაი 2-ის ანიმაციური კადრები, რომელმაც გადაფარა ფოთის პორტის პირდაპირი წესით გაყიდვა. აგრეთვე გადაიფარა საკანონმდებლო მანიპულაცია, რომლის მიხედვითაც ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა (3300 ადამიანი) ვერ მიიღო ადრე კანონმდებლობით განსაზღვრული 0,9% უფასო აქციებისა. ასეთი უფასო აქციები ადრე მიღებული ქონდათ ნავსადგურის მომიჯნავე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საწარმოების: გემთსაშენი ქარხნის, წისქვილქარხნისა და ინტერტრტანსსერვის-საზღვაო ვაჭრობის მუშა-მოსამსახურეებს.

ნავსადგურელები პირში ჩალა გამოვლებულები დარჩნენ, იქ ამუშავდა რეპრესიულ-დისკრიმინაციული მანქანა, ოდეერის ინსტიტუტის პარალელურად შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მსუყე ხელფასებით, შემოღებულ იქნა ამავე სამსახურის კურატორის ნავსადგურის უფროსის მოადგილის შტატი. ეს სამსახურები დაკომპლექტდა თბილისიდან და ზუგდიდიდან მოვლინებული ,,ნაცკადრებით", მათ ფუნქციონალურ დატვირთვას შეადგენდა სხვანაირად მოაზროვნეთა პოლიტიკური ლუსტრაცია და სამსახურიდან განდევნა, დარგობრივი პროფკავშირებიც კი რამოდენიმეჯერ ჩანასახშივე ჩაკლეს.

რაც შეეხება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას - დუბაი 2-ი არ შედგა, როგორც მოსალოდნელი იყო. ეს იდეა მკვდრადშობილი აღმოჩნდა და 10 წლის უსაქმურობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფომ უკანასკნელ დღეებში დაიბრუნა ,,რაკია ჯორჯიას" აქტივები შესყიდვის ფორმით და მომავალში დაგეგმილია მისი ქმედითუნარიანობის მიყიდვა.

1998 წლიდან 2011 წლამდე საქართველოს ხელისუფლების მიერ ფოთის საზღვაო ნავსადგურთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა იყო უარესობა, ტრანსპარანტული საერთაშორისო პროექტების ნაცვლად ხორციელდებოდა კულვარული პროექტები, ღია საერთაშორისო პროექტების ნაცვლად ნავსადგურის პრივატიზება განხორციელდა პირდაპირი მიყიდვიე წესით კვლავ კულუარული გარიგებით, ნავსადგურის მენეჯმენტი ამ წლებში არ იყო გამართული, მან დაკარგა განვითარების ტენდენცია და ის დღეისათვის ნამდვილად არ წარმოადგენს საერთაშორისო კლასის პორტს. მას არ გააჩნია არცერთი ღრმაწყლიანი ნავმისადგომი. სრულიად მოშლილია ინდუსტრიული განვითარების ზონის პროგრამა, ზოგიერთი სახის ტვირთების ერთ საათში გადამუშავების მონაცემებით ფოთის პორტი 8-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისო კლასის პორტებს. მაგ: ალუმინის ოქსიდის გადამუშავება ფოთის პორტში მიმდინარეობს მე-19 საუკუნის ტექნოლოგიით, ღია სივრცეში, ამწის ღია კოვშებით, იგივე ტვირთი ჰიუსტონის პორტში გადამუსავდება დახურულ სისტემებში.

,,აბრეშუმის გზის" სამხრეთ მიმართულებაზე სპარსეთის ყურის ირანის პორტ ბენდერ-აბასში 1 ტონა ხორბლის გადამუშავება ტარიფით შეადგენს 1,5 დოლარს, ფოთის პორტში კი 6 დოლარს. ფოთის პორტმა ვერ მოირგო ეკონომიკური ზონის ვერცერთი ფორმა, მაშინ როდესაც აბრეშუმის გზის ჩრდილოეთის მიმართულებაზე რიგის პორტი 1990 წლებიდან მუშაობს პორტოფრანკოს თავისუფალი პორტის რეჟიმით. ასეთი მაგალითები მრავალია, რამაც გამოიწვია ახალი ტვირთნაკადების გადამისამართება. ,,აბრეშუმის გზის" ჩრდილოეთსა და სამხრეთის მიმართულებებზე. აზიური ტვირთების ხვედრითი წილი ფოთის პორტის ყოველდღე დაღმავალ ტვირთბრუნვაში მიზერულია, 3-3,5 %-ის ფარგლებში.

ტრანსკონტინენტალურ დერეფნის საკვანძო ელემენტი ფოთის პორტი ნაკლები წლიური ტვირთბრუნვით გერმანიის სამდინარო პორტებსაც კი ჩამორჩება და ეს ჩამორჩენა მრავალჯერადია.

დღეისათვის ,,აბრეშუმის გზის" ცენტრალური მიმართულება, რომელიც სამხრეთ კავკასიაზე, ფაზისზე-ფოთზე გადის არ წარმოადგენს კონკურენტუნარიანს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებებთან მიმართებაში, პირველ რიგში საპორტო ინფრასტრუქტურისა და ინტერმოდალური კორიდორისათვის აუცილებელ სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო გზების ინფრასტრუქტურების გამო.

ფოთის პორტის უპირატესობა კონკრეტულ პორტებთან მხოლოდ გეოფიზიკური მდგომარეობით შემოიფარგლება.

პერსპექტივა კი როგორც ყოველთვის ამჟამადაც უზრუნველყოფილია ყველა მიმართულებით, კორიდორის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად მუშაობა მიმდინარეობს, პროექტები საწყის



ეტაპზეა, მათ შორის საზღვაო პორტშიც. მიმდინარე წლის თებერვალში ფოთის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ნავსადგურის ხელმძღვანელობა ,,აპმ ტერმინალის" დირექტორმა საზოგადოების წინაშე წარმოადგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასება-პრეზენტაცია ახალი ღრმაწყლიანი ნავმისადგომის პროექტისათვის, რომელიც წარმოადგენს მომავალში ასაშენებელი ანაკლიის პორტის პარამეტრების ანალოგს და უახლოესი 3 წლის განმავლობაში ფოთის პორტის ჩრდილოეთით ექსტენსიური განვითარების ზონაში შესაძლებელს გახდის 350 მეტრი სიგრძის 9500-იანი კონტეინერმზიდი გემების მიღებას...

ჯუმბერ კემულარია,
,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო
აკადემიის ნამდვილი წევრი

## ,,ქართული ოცნების'' ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატი ამომრჩეველს მიმართავს

### საზოგადოებას უნდა ახსოვდეს - მეორე ტური არჩევანია ნათელსა და ბნელს შორის



“ქართული ოცნების” ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი ხახუბია საკუთარ ამომრჩეველს მადლობას უხდის ნდობისთვის. ხახუბია სტატუს facebook-ის ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს მიმართვას,რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

“მოგესალმებით ყველას, ვინც ჩვენთან ერთად იდგა 8 ოქტომბერს და ხმა მისცა თავისუფლებას, უკეთეს მომავალს, ადამიანურ ღირსებას და წინსვლას. მადლობა ყველას, ვინც გვგულშემატკივრობდა და ყველაფერი გააკეთა შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენი საერთო გამარჯვებისთვის. მადლობა ფოთელებს! მადლობა გურულებს, იმ საღი აზრისთვის და არჩევანისთვის, რომელმაც კიდევ უფრო დაგვარწმუნა ჩვენი გზის სისწორეში. ჩვენ გავიმარჯვეთ! ერთობამ პირველი შედეგი მოიტანა და კიდევ უფრო მეტ შედეგს მოიტანს მომდევნო ტურში, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარდება.

მეორე ტური არჩევანია ნათელსა და ბნელს შორის. ადამიანურობასა და არაადამიანურობას შორის, სახელმწიფოებრიობასა და ერთპიროვნულ მმართველობას შორის. 4 წლის შემდეგ ისევ გვიპირისპირდება ძალა,რომლის მმართველობის შედეგი კარგად ახსოვთ ფოთშიც, გურიაშიც და მთელს საქართველოშიც. ძალა, რომელიც ცდილობს, საზოგადოება დააბრუნოს წარსულში. ძალა,რომელიც წლების მანძილზე ნერგავდა შიშს, ტერორს, უსამართლობას, სიღარიბეს და ადამიანების შეურაცხყოფას,კლავდა ბიზნესს,კლავდა განათლებას და კლავდა იმედს. მაგრამ ეს ძალა ცდება, როცა ვერ აფასებს საზოგადოებას სათანადოდ. ძალას, რომელმაც პოლიტიკაც და სახელმწიფო მმართველობაც აქცია ძალადობად. 4 წლის წინ მთელმა საქართველომ უთხრა უარი. ამ ძალას. საზოგადოებამ უარი უთხრა 8 ოქტომბერსაც და ეტყვის მომავალშიც იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება. ადამიანები კეთილი ნებით სიკეთის საკეთებლად ერთიანდებიან.

ადამიანები საკუთარი შვილების მომავლის საშენებლად ერთიანდებიან. თავისი კუთხის,თავისი ქალაქის სწრაფად განვითარებისთვის ერთიანდებიან. ჩვენ გვინდა ცხოვრება სივრცეში,სადაც ყველა თანაბარია უფლებებით,სადაც კანონი უზენაესია,სადაც არ არსებობს „ჩვენი დრო“ და „თქვენი დრო“. ახლა ერთობის დროა. ერთობის ძალა სხვა ძალაა. სულ მალე კიდევ ერთხელ გავერთიანდებით და გავიმარჯვებთ შენებისთვის, განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის”,- ნათქვამია ირაკლი ხახუბიას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მიმართვაში.

ცნობისათვის,“ქართული ოცნების” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი ხახუბიამ 2016 წლის 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე “ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატს ბექა ბასილაიას დიდი უპირატესობით მოუგო. ირაკლი ხახუბიას ამომრჩეველთა ხმების 48,45 % ერგო, ხოლო ბექა ბასილაიას 27,12 %.

## შეცდომა, რომელიც სისტემურია, არ არის შეცდომა!

### ეს დანაშაულია და ითვალისწინებს სასჯელს!

*ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატის სანდრა რულოვსის მიერ ამომრჩევლისათვის მიცემული დაპირება იმის შესახებ, რომ ისინი ძალადობას აღარ გაიმეორებენ სოციალურ ქსელში აქტიური გამოხმაურების თემაა.*

facebook-ის მომხმარებელთა უდიდესი ნაწილის აზრი ასეთია:

ერო!!! დანაშაული და შეცდომა!

იქნებ 25 წლის შემდეგ მაინც მოვახდინოთ დეფინაცია, რაა დანაშაული და რაა შეცდომა.

შეცდომა, რომელიც სისტემურია, რომელმაც უამრავი ადამიანი და ოჯახი გააცამტვერა, ჩახოცა, გაალატაკა, არ არის შეცდომა.

ეს დანაშაულია და ითვალისწინებს სასჯელს. ის ვინც სისტემის ნაწილი იყო(მარტო ,,ნაცებს” არ ეხება), მაგრამ არაფერი არ დაუშავებია პირადად,უნდა მოინანიოს, აღიაროს საკუთარ თავთან მაინც, რომ დამნაშავეების გვერდით იდგა და გადადგეს გვერდზე და ნუ გვმოძღვრავს!!!

,,აღარ გავიმეორებთ” - ეს დაპირება ლირიკა, უტიფრობა და სირცხვილია!

ძალიან ბევრი დანაშაული აგვერია შეცდომაში და ამის შედეგად ჭაობში ვიძირებით!. არაა გამოფხიზლების დრო?

ეს ელემენტარული რამაა, მაგრამ ეს ელემენტარულიც რომ არაა გაცნობიერებული?

რა წყევლა გვაქვს ასეთი ქართველებს...



*ვინც "ნაცებს" ირჩევს, ის ირჩევს ერის განადგურებას, ტირანის გაძლიერებას.*

## დემოკრატიის პარადოქსები

### არჩევნების გაკვეთილები და პოლიტიკური სტრიპტიზი

### თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა პოზიტიურ ძალებს არ ექნა, ,,ნაცები" ყველა საჭირო კანონის მიღებას შეაფერხებენ.



პოლიტიკა აზარტულ თამაშს დაემგვანა, პოლიტიკოსთა შერკინებას ამომრჩეველთა ბრძოლაც მიემატა. ლამისაა ერთმანეთს დაერიონ ადამიანები, თავიანთ რჩეულს, თავიანთ პოზიციას იცავენ, არათუ პოლიტიკური, ხელჩართული ბრძოლითაც-მათი რჩეული ჯობია. ქვეყანას უკეთ მოემსახურება! თუმცა, არამგონია ეს იყოს მიზეზი, ესენი სახელმწიფოებრივად მოაზროვნეებს არ გვანან. ყველა პარტიას მმართველობაზე, მთელი გუნდით ხელისუფლებაში მოსვლაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ არჩევნებმა სულ სხვა რეალობა აჩვენა- ორი სამი პარტიის გარდა ყველა გარიყა პოლიტიკური ასპარეზიდან, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ და თავიანთი 1%-იანი პარტიის მარცხს (ალბათ, მეათედ) გაყალბებას აბრალებენ, ზოგს ეყო ვაჟკაცობა და პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი გაანება. ზოგი ჯიუტად განაგრძობს და ქუჩის აქციებით იმუქრება.

ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ისაა, რომ ნაციონალების ,,რეანიმაცია” გრძელდება და ამომრჩეველი ემატება. ისე პარადოქსია ერთის მხრივ სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ- ,,ნაციონალების” დასჯას და მეორეს მხრივ კი ნაციონალებს აძლევენ ნდობის მანდატს. ეს მოიტანა შორს გამიზნულმა კოჰაბიტაციამ და მომავალში შეიძლება ხელისუფლებასიც დაბრუნდნენ თუ ასე გაგრძელდა ლოიალობა და მიტევება.

ამბობენ ამის შიშით ხალხის ნაწილი ,,ოცნებას” უჭერს მხარს-ამ ფაქტორების გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ,,ოცნებამაც” უნდა გამოიღოს ხელი-ჩამოყალიბდეს პარტიად და აკეთოს ეროვნული საქმე გინდა ევროპელობით და გინდა ამერიკასთან პარტნიორობით და თუ რამეს გადმოიტანენ მათგან კარგს და პოზიტიურს, ამას მივესალმებით.

წინ არჩევნების მეორე ტურია, თუმცა, არც ეს ბრძოლა იქნება იოლი- განაწყენებული პოლიტიკური პარტიები ,,ოცნების” კანდიდატს არ დაუჭერენ მხარს. არავინ იცის არჩევნებზე არმისული 49% - ანუ მილიონ ნახევარი კაცი რა ჭკუაზე დადგება, სხვათაშორის მათმა არჩევნებზე არ მისვლამ განაპირობა ნაციონალების პროცენტული მატება, არადა ეს პარტია თუ სექტა დროზეა მოსაცილებელი, რისი ოპოზიციაა ესენი, ეს ხომ დაცინვაა დემოკრატიის, არადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჩატარებული არჩევნებით კმაყოფილია, იქნებ იმიტომ, რომ ,,ნაცები” ანუ მათი ხელდასმული პარტია-მთავარი ოპოზიციური ძალაა, რომ ესენი არ შემცდარან სააკაშვილის არჩევნებში. მოკლედ, 200 პარტიიდან 2 პარტია შეგვრჩა და როგორც ამერიკაშია- ხან ერთი იქნება სათავეში ხან მეორე, მაგრამ ქართველი ხალხი ,,ნაცების” პარტიულ მომავალს ვერ შეეგუება.

ეს პარტია ისევ აფერხებს ქვეყნის განვითარებას, მის მომავალს, ასე, რომ პოლიტიკური მეხსიერების დევალვაცია კარგს არაფერს მოიტანს.თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა პოზიტიურ ძალებს არ ექნა, ,,ნაცები” ყველა საჭირო კანონის მიღებას შეაფერხებენ.

ამ არჩევნებზე პოლიტიკურმა სტრიპტიზმა გააშიშვლა საბოლოოდ ვითომ პარტიები,-ზოგისთვის პარტია საშუალება იყო თანამდებობის დათრევის, და აკი დაიტოვეს იგი ალასანიამ და მისნაირებმა. ვიღაც ფულს აკეთებდა, ვიღაც მარადი ოპოზიციონრობით სარგებლობდა.

ბოლსდაბოლოს როგორც იქნა გაიწმინდა ზოგადად პოლიტიკური ველი, მაგრამ რომ არ ისვენებენ-გავერთიანდეთო, ქუჩიდან შევუტიოთო.

სააკაშვილი თავის ქვეყანაში დასაჭერია, სხვის ქვეყანაში პრეზიდენტობისათვის იბრძვის, სადაა აქ ლოგიკა? საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთპატივისცემა, ესაა დემოკრატია?

საქართველო დიდხანს ვერ ჩამოირეცხავს იმ სირცხვილს, რასაც სააკაშვილის მართველობა ერქვა- ქვეყანა ერთი კაცის ხუშტურზე, თავის კონსტიტუცია-მთავრობიანად, ახლა ლამის მთელი საქართველო იმაზე წუხს ,,ოცნებას” არ ექნეს კონსტიტუციური უმრავლესობა, მაშინ, რატომ არ წუხდნენ ,,ნაცების” ხელში რომ იყო და უბის წიგნაკად რომ აქციეს იგი- ქვეყნის მთავარი კანონი, ოღონდ ეს არ მოხდეს და ნაცებს მიეცით ხმაო - გაჰკივიან ექსპერტები, დაჩაგრული პარტიების ლიდერები. მერედა სადაა აქ დემოკრატია-ეყოფათ ,,ნაცებს” რაც მიიღეს მავანთა მხარდაჭერით.

,,ოცნებამ” ისიც უნდა გაითვალისწინოს, მაჟორიტარებმა სულზე მოუსწრეს, ასე, რომ მთლად საზეიმოდ არაა საქმე და მომავალი 4 წელი დიდ საქმეს უნდა შეეჭიდონ, რათა ხალხს, რომელიც ერთხელ კიდევ გვერდით დაუდგა, არ გააწბილონ და ,,ნაციონალების” სექტა თუ ბანდა არ გაახარონ, ადამიანები მხოლოდ საარჩევნო ატრიბუტები არ არიან, იგი ერია, ქვეყანაა, სახელმწიფოა, სამშობლოს ნაწილია, ,,ნაცებს” არა აქვთ სამშობლო და ნაცია-ქართველი ერი გაყიდეს ყველა პარამეტრით,მოსპეს ზნეობა, ღირსების გრძნობა, პროფესიონალიზმი; სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, სამთავრობო-არასამთავრობო ხალხის მტრად აქციეს და უაზრო დიქტატორის სამსახურში ჩააყენეს. მაღალი იდეალების ნაცვლად, ინსტიქტებამდე დაიყვანეს,მოსამსახურედ აქციეს ნახევარი საქართველო-საზღვარგარეთ გადახვეწილი. ,,ოცნებას” ბევრი რამის გამოსწორება მოუწევს, რამეთუ ქვეყანა ნაცების ხელისუფლების მიერ იყო დაპყრობილი, არანაკლები ოკუპანტები დემოკრატიის სახელით, 10 წელი ხალხის მტრობაში-ბოროტების სამსახურში გაატარეს, ნუთუ არ კმარა დაფიქრებისთვის. საქართველო ათასჯერ უფრო დიდია ვინემ ყველა პარტია ერთად აღებული,თავის პრეზიდენტიანად და სამთავრობო-არასამთავრობოებით,იგი უკვდავი ფენომენია დიდი სულიერი მისიით, რაც ევროპას არც კი მოელანდება, მერე რა რომ პატარაა რიცხობრივად-სიმრავლე ჭკუას არ ნიშნავს.

პარტიამ უნდა იცხოვროს ხალხის ცხოვრებით, ხალხს როცა შია და შენ თვეში ათიათასობით პრემიას იღებ, პირად ოჯახურ საქმეებს აგვარებ, ხალხი ზურგს შეგაქცევს, არ გაპატიებს ადრე თუ გვიან. პარტია ,უპირველესად, იდეური ორგანიზაციაა და არა ხალხის გაჭირვებით მანიპულირებით, თვალთმაქცობით, დაკავებული თვითკმარი ორგანიზაცია-რისი სოციალისტებია რჩეულიშვილები, ნათელაშვილები და მისთანანი, რისი ერზე მაფიქრალია ესენი?

,,ოცნებამ” ვერ შეასრულა დანაპირები- ისმის აქეთ იქიდან- ამიტომ ,,ნაცები” უნდა მოვიდნენ? თურმე სააკაშვილი ყოფილა სიკეთე და ივანიშვილი ბოროტება? მართლა ასე ბნელა? არავინ იფიქრებდა მმართველ პარტიას თუ ამდენი საბოტაჟი და ხელშეშლა ექნებოდა.

სააკაშვილს არასოდეს გაუმარჯვნია ფოთში, რამეთუ მხოლოდ ავნო მას, გაყიდა პორტი და საქართველოს საზღვაო კარიბჭე ტერმინალად აქცია, ივანიშვილმა კი ფოთს რაგბის სტადიონი გაუშენა, კიდევ პირდება ბევრ რამეს და საერთოდ, მან საქართველოს 3 მილიარდი დაახარჯა, ასეა, ერთს იქეთ მიაქვს, მეორეს აქეთ მოაქვს ნუთუ, ვერ არჩევთ შავსა და თეთრს, დაგვავიწყდა რომ ,,ნაცებმა” წაართვეს ხალხს ბედნიერება, დაიკარგა ხალისი, მუსიკა, ურთიერთობა, მოკლეს ქართველი კაცი, ამაყი, გამორჩეული, მოკლეს ქალი ღირსებით სავსე, თუმცა, გაიმარჯვა ,,დემოკრატიამ”.

,,ოცნების” ჩამოცილდნენ არარეიტინგული პარტიები, შინაური მტრები და ახლა, ერთ მაგრამ დიდ საშიშ მტერთან გვაქვს საქმე - ,,ნაცებთან”,იგი აგრძელებს საბოტაჟს, მაგრამ ახლა წაყრუების დრო არაა, დასავლური ძალები არაა პოლიტიკაში”! ჩივიან მავანნი, ,,ნაცები” ხომ იყო დასავლური და ავშენდით! დასავლეთი სამშობლოს აკრძალვაა? უსამშობლო კაცი ოკიანეში უკომპასოდ მოხეტიალე გემია, ფესვებს მოწყვეტილი ხეა, ქართველი კაცი როგორმე გაარჩევს ნაცების კონსტიტუცია შესაცვლელია თუ არა-აბურდულ-ჩაბურდული სააკაშვილის პრეზიდენტობა-პრემიერობის სურვილით, როგორმე გავარჩევთ ქვეყნისათვის უფრო საშიში ,,ნაცებია” თუ ,,ოცნების” კონსტიტუციური უმრავლესობა.

### გამოვიდა ,,ფაზისის” საერო - სამეცნიერო აკადემიის ჟურნალ ,,ცოტნეიდელის ” მე-10 ტომი

# ორიენტირი- წარსულისა და მომავლის თანაარსებობა საქართველოს სულიერი მისიის აღსრულებისათვის




ტომი X (ნაწილი III)
თბილისი - ფაზისი
2016 - 2017 წ.წ.

,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემია მისი პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით მრავალმხრივ მუშაობას ეწევა გლობალიზაციის ურთულეს პერიოდში პატრიოტული შემართების ქრისტიანული რწმენისა და მორალის განმტკიცებისათვის, სულიერ-კულტურული მემკვიდრეობის აღორძინების, კოლხეთის საქართველოს ნაცარმიყრილი ისტორიის წარმოჩენისათვის, რათა ათასწლეულები არ დაეკარგოს ქვეყნის ისტორიას, რაც მავანთ, სამწუხაროდ, სეპარატიზმად მიაჩნიათ. ფართო საზოგადოება მოუთმენლად ელოდება აკადემიის ყოველწლიური გამოცემის, ჟურნალ ,,ცოტნეიდელის” მორიგი ნომრის გამოსვლას. ახლახან მკითხველებმა მიიღეს მე-10 ტომი, რომელიც ერთგვარად აჯამებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში აკადემიის საქმიანობას. მასში გაშუქებულია მოვლენების ფართო სპექტრი დასაბამიდან დღემდე. აქვე იბეჭდება სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ქვეყნის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით, საქართველოზე, კერძოდ კოლხეთის ისტორიის საკითხებზე. იდუმალებით მოსილი საუკუნეების სამზეოზე გამოტანა რთული მაგრამ მნიშვნელოვანი საქმეა. ცივილიზაციის სათავე-კოლხეთი, მისი ენა, კულტურა, დამწერლობა, უნიკალური ფენომენია, ერთიანი საქართველოს არეალში. ლეგენდა არგონავტებზე, საქართველოს - კოლხეთის ძლიერების აპოთეოზია ძვ. წ.ა XIV-XVIსაუკუნეებში. დიდ წარსულს მოვლა-პატრონობა სჭირდება, რაც უფრო უახლოვდები ფესვებს, მით უფრო ძლიერი და მდიდარი ხარ.

ჟურნალში უპირველესად დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს სულიერ ლიდერის ილია მეორე აღმაშენებლის ღვაწლს ეკლესიის, ერისა და ქვეყნის წინაშე. აქვე იბეჭდება პატრიარქის დიდებული ლექსი ,,ყველაფერი კარგად იქნება”, საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები, როგორც სულიერი ამაღლებით ღმერთთან მისასვლელი გზის გამკვალავი ჭეშმარიტებით, სიყვარულით აღვსილი ქადაგებანი.

იშვიათია პიროვნებები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ქვეყნის აღმასვლასთან,ეროვნნულ ფენომენთან ასოცირდებიან, მათ შორის ზღვარის გავლება-იგი ერთიანი ორგანიზმია. ნუგზარ ნადარაიას ცხოვრება ამ დიდი სამსახურის ნამდვილი მაგალითია. შარშან რუსთაველის თეატრში აღინიშნა ,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის ბატონ ნუგზარ ნადარაიას დაბადების 70 წლის იუბილე, რომლის მასალებიც ქვეყნდება ჟურნალში. განვლილი გზის გადასახედიდან დანახული ცხოვრება ჩანს მის ავტობიოგრაფიულ წერილში ,,გულის არქივში ნათლად ჩაქარგული გონების ღაღადისი”, ეს მართლაც დიდი გამოცდილებით, სენტეციებით, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული წერილია, როგორც მართალი კაცის ცხოვრებიდან წამოსული სიბრძნე. ცხოვრებისა და საქმიანობის საქვეყნოდ განსჯა მამულიშვილურ გრძნობებს უფრო აღვივებს და განგვაწყობს სახელმწიფო საქმეთა საკეთებლად.

ჟურნალში ქვეყნდება ,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის კონფერენციის მასალები, რომელიც ხობსა და ფოთში გაიმართა და ნუგზარ ნადარაიას იუბილეს მიეძღვნა.

კონფერენციაზე კონსტანტინე გამსახურდიამ წაიკითხა მოხსენება ,,კოლხეთის მეფეები,” მან წარმოადგინა კოლხეთის, ლაზიკისა და ეგრისის მეფეთა ნუსხა, რომელიც ნაკლებად ცნობილინ იყო საზოგადოებისათვის.

საინტერესო მასალებია თავმოყრილი ლეილა დანელიას მოხსენებაში, ,,ჭყონდიდის როლი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში”.

იგორ კეკელიამ წარმოადგინა მოხსენება ,,ხობის წყლისა და ჭანისწყლის ხეობების ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევზე”.

რევაზ პაპუაშვილი თავის ნაშრომში ,,კოლხეთის უძველესი ოქრო” სიღრმისეულად გადმოგვცემს ამ დიდი საგანძურის პერიპეტიებს, ის აღნიშნავს, რომ სტრაბონის მიერ ხსენებული ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობები ოქროთი მდიდარ ქვეყანაში, მკვლევართა ვარაუდით, ძვ.წ II ათასწლეულის დასასრულს ან ძვ. წ I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, ე.ი. იმ ეპოქაში , რომელშიაც ოქროს წარმოების მიმანიშნებელი ფაქტები არ მოგვეპოვებოდა, თუმც ივარაუდებოდა, ვრაუდის საფუძველს სტრაბონის აღნიშნული ცნობა და კოლხეთში ძვ.წ. ათასწლეულის შუახანების მრავალრიცხოვანი და თანაც მაღალმხატვრული ოქრომჭედლობის აღმოჩენის ფაქტები იძლეოდა. ღვივდებოდა ინტერესი ოქრომჭედლობის იმ კერის მოძიებისა, რომლის საფუძველზედაც უნდა აღმოჩენილიყო და შექმნილიყო მხატვრულ ტექნოლოგიურ თვალსაზრისით ისეთი სრულყოფილი არტეფაქტები, როგორებსაც ვანისა და საირხის მდიდრეულ სამარხებში ვხვდებით.

აქვე ქვეყნდება რეზო პაპუაშვილის წერილი ,,დედაღვთაება ნანა, თეთრონისა და პალიასტომის ღვთისმშობლის ხატები”, ფაზისის როგორც სამიტროპოლიტოს მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ 553 წელს მეხუთე საეკლესიო კრებას სხვებთან ერთად ფაზისელი ეპისკოპოსებიც აწერენ ხელს. მისი გავლენა მესამე საუკუნეშიც დიდია. 787 წლის მეშვიდე საეკლესიო კრებას ხელს აწერს ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფაზისისა, რაც იმის დასტურია, რომ ფაზისი ნამდვილად იყო დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი. საკუთრივ პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი მე-14-მე-15 საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშია. მასზე ეკლესიის წმინდანნი მამანი და დედანი არიან გამოსახული. ხატი 123 ძვირფასი თვლითა და მარგალიტით არის შემკული.

ვახტან ქანდარია თავის სტატიაში ,,იაკობის დედაენა და ასონიშნებით გადმოცემული საიდუმლო”, ქართული ასონიშნების სახელდებებზე გვაწვდის ისტორიულ მასალებს.

,,ფაზისი კოლხეთის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი”- ამ მოხსენებით გამოვიდა ნუგზარ ნადარაია ,,ფაზისის” აკადემიის სამეცნიერო კონფერენციაზე ფოთში. მან აღნიშნა- ბერძნული წყაროების მიხედვით შავი ზღის სანაპიროებზე არსებობდა ბიჭვინთის, სევასტოპოლის, (სოხუმის) და ლაზიკის (ფაზისის) ეპარქიები, მოგვიანებით მათ მიუღიათ ავტოკეფალიები, ლაზიკის ეპარქიებს სათავეში ედგა ფაზისის მიტროპოლიტი, რომელსაც ექვემდებარებოდა როდოპოლისის, საისინგთა, პეტრას და ზიგანებთა (გუდაყვა). ფაზისის მიტროპოლიის ცენტრი იყო ქალაქ ფაზისში-ფოთში. აქ ჰქონდა თავისი ეპარქია ლაზიკის მიტროპოლიტს. მას ექვემდებარებოდა 4 ეპისკოპოსი -როდოპოლისის(ვარციხის) ეპისკოპოსი სავარაუდოდ პირველ მოსაყდრედ ითვლებოდა.

ახალი მეცნიერული ფაქტებია წამოწეული ვლადიმერ გაგუას სტატიაში (,,კოლხეთის, ფაზისის რიტორიკული ცენტრის”) სკოლის



სათავეებთან.

ბიზანტიელი ორატორი და ფილოსოფოსი თემისტე (თემისტოსი 388 წწ.) იძლევა უდაო ცნობას ქ. ფაზისში (ან მის მახლობლად) უმაღლესი სკოლის არსებობის შესახებ. ეს მასალა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ივანე ჯავახიშვილმა შემოიტანა. ის ეყრდნობა ბიზანტიოლოგის, ლატიშევის ნაშრომს და წერს ,,თემისტეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ელინური სწავლა-განათლებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და ქვეყანა ელინური კულტურისა და მუზათა სადგურად უქცევია, ისე, რომ იმ დროს კოლხებს ელინთა სადღესასწაულო ყრილობებზეც უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭერმეტყველებით.

სწავლების გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსწავლეთა უმეტესობა ისეთ ნათელხილვებსაც აღწევდა, რომ შეეძლო შეემეცნა ღმერთი.

გასავ გასვიანის ნაშრომში ,,ცივილიზაციის სათავეებთან” აქამდე უცნობი მასალებია წარმოდგენილი ედემის ბაღის ადგილმდებარეობის, იბერიისა და ცივილიზაციის წარმოშობის საკითხებზე.

მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა რამაზ გახოკიძემ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება, ,,კოლხური ცივილიზაციის როლი ქიმიური ტექნოლოგიის ჩასახვასა და განვითარებაში”. როგორც მეცნიერი აღნიშნავს: უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა ძვ.წ VI-IV სს. უმდიდრესი მასალა ნივთიერი კულტურის ისეთი დარგების დასახასიათებლად, როგორებიცაა კერამიკული წარმოება, რკინის დამუსავება და ოქრომჭედლობა. ბერძენი მწერლები მოგვითხრობენ კოლხეთში ოქროს მოპოვებისა და დამუშავების შესახებ და მას ოქროს საწმისის ლეგენდას უკავშირებენ. სტრაბონის ცნობით კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებითა და ტყავებით აგროვებენ, აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავზე.

ჟურნალში იბეჭდება სილოვან გვასალიას მოხსენება ,,ფოთს აღუდგეს მისი ისტორიული სახელი”. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ფოთისათვის მისი ისტორიული სახელის აღდგენა არის საწინდარი ქალაქის აღმშენებლობისა და მისთვის ძველი დიდების დაბრუნებისათვის, ვინაიდან სახელწოდება ,,ფაზისი” მსოფლიოში ასოცირდება ნავმისადგომთან, სანაოსნოსთან, ეს იყო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. ქალაქისათვის ძველი სახელის დაბრუნება ხელს შეუწყობს მისი ცნობადობის ამაღლებას, განვითარებას, ტურისტული, რელიგიური, სამეცნიერო მიმართულებით. ძველ საწყისებზე ახალი ქალაქის გაბრწყინებას.

გია კვაშილავა კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით, ,,პროტო ქართველების, საერთო ქართველური ენისა და წარწერების შესახებ”. წერილში განხილულია შემდეგი საკითხები-სამხრეთ ევროპის, წინააზიისა და კავკასიის უძველესი მოსახლეობა და ენები, მაკრელების დოლიონებისა და მუშკების განსახლების, კორიბანტებისა და კირბების კოლხური დამწერლობის შესახებ. კლასის ხაზოვანი, ფესტოსის დისკოს და კრეტული იეროგრაფიული წარწერის აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია და სხვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ასევე პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელის სენსაციურმა აღმოჩენამ-,,ოქრო რომლითაც დაფარულია ეგვიპტის ფარაონის ტანსაცმელი და სარკოფაგები, კოლხურია”.

ჭიჭიკო და ზურაბ ჯანელიძეების მოხსენება -,,ქალაქ ფაზისის მდებარეობის ადგილის დადგენის პრობლემა გეოგრაფიული თვალთახედვით,” ამომწურავ პასუხს იძლევა ამ თემაზე, რამდენადაც მავანი საეჭვოდ ხდის ფაზისის ისტორიულ მდებარეობას ფოთში.

ჟურნალ ,,ცოტნეიდელში” დაბეჭდილია ლექსები, პოემები, დიდმამულიშვილთა საიუბილეო მილოცვები, ბევრი მასალებია საეკლესიო სიწმინდეებზე, მონასტრებზე, არქეოლოგიურ კვლევებზე,მოკლედ ლამის მთელი სამყაროა თავმოყრილი, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს მეცნიერული ცოდნის ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას, იმ ქვეყნისა, რომელსაც უნდა წაართვან თვითმყობადობა, დიდი წარსული და უმოწყალოდ ჩაითრიონ გლობალიზაციის მორევში.

ზურაბ აბრალავა
,,საქართველოს რესპუბლიკა”
საკ.კორ.

# მასწავლებლის დღე – დღესასწაული ფოთში!
## ფართოდ გაუღეთ კარი საქართველოს მომავალს





ვის ვაბარებთ საქართველოს მომავალს-დღეს ეს უმთავრესი კითხვა დიდი ფიქრისა და ზრუნვის საგანია,რამეთუ ჩვენ ისეთები ვართ, როგორებადაც გვზრდიან პედაგოგები. ქვეყნის მომავლის გზა სკოლაზე გადის, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშობიდან მოვდივართ, ყველა თაობას აქვს რაღაც თავისებური, განსხვავებული ნიშა და ამას დროის ცვალებადობაც განაპირობებს. ყველა ეპოქას თავისი მოთხოვნა აქვს და ამას პასუხი უნდა გასცეს მასწავლებელმა, რომლისგანაც სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ცვლილებები,გლობალიზაციის პროცესები, ამასთან უნდა შევინარჩუნოთ ეროვნული თვითმყობადობა, ქრისტიანულირწმენა, რათა ქვეყანას მივცეთ მრავალმხრივ განვითარებული, სულიერად ამაღლებული თაობა.

დიდი ფაზისის აკადემიის მემკვიდრე ჩვენი ქალაქი, ყოველთვის გამოირჩეოდა განათლების მაღალი დონით, აქ მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგები. ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 4 ოქტომბერს მასწავლების დღე საზეიმოდ აღინიშნა. ღონისძიება ძველი უნიკალური ვიდეოკადრებით გაიხსნა, გაცოცხლდა საუკუნე, დამსწრე საზოგადოება ტაშით და ფეხზე ადგომით მიეგება განათლების დარგის კორიფეებს, ეს არის დაუვიწყარი მაგალითი იმისა, როგორ უნდა ემსახურო შენს ხალხს, შენს სამშობლოს, ისინი ათეული წლების განმავლობაში ბურჯად ედგნენ სკოლას და მათი პროფესიონალიზმი, თავდადება,უძილო ღამეები, ნათელი მომავლისათვის ბრძოლა სიძლიერეს, სიმტკიცეს, ღირსებას, ძალასა და ენერგიას მატებს პედაგოგთა ახალ თაობას. მათი გამოცდილება უდიდესი საგანძურია.

ამაღელვებელი, დაუვიწყარი იყო დამსახურებულ პედაგოგთა დაჯილდოების ცერემონია. ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე თოფურიამ, მერის მოადგილემ ნიკა გრიგოლიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ აკაკი დარჯანიამ მასწავლებლებს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები და სიგელები.

სცენაზე მიიწვიეს აფხაზეთის 21 საჯარო სკოლის დირექტორი ბატონი ოთარ არძინბაია, რომლისთვისაც ყველაფერი ეროვნული,ქართული სულის საზრდოდ ქცეულა და თავისებური ხატოვნებით ლექსებში არეკლილა გაგრის ტალღებად.

ყველასათვის ნაცნობი პიროვნება, დიდი ერუდიციითა და ნიჭით დაჯილდოებული უშრეტი ენერგიით აღსავსე პროფესიონალი, თავისი საქმისა და ჩვენი ქალაქის პედაგოგთა ქომაგი - ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ბატონი გოჩა ქორქია და დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა სასკოლო რეფორმის მიმდინარეობაზე.

პატარების უსაზღვრო სიყვარული, ფართო თვალსაწიერი, შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს სკოლამდელ დაწესებულებებში, რისთვისაც დააჯილდოვეს მათი ხელმძღვანელები.

ხელოვნებას საზღვრები არ გააჩნია, ისევე როგორც უსაზღვროა ხელოვანთა არეალი. საოცარი ფანტაზია, სწრაფვა შემოქმედებისაკენ, ამრავალფეროვნებს კულტურულ სახელოვნებო სასწავლებლების ცხოვრებას, რისთვისაც დაჯილდოვდნენ ხელოვნების სასწავლებლების, ფოლკლორის ცენტრის, მოსწავლე - ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის პედაგოგები. ელენე მეჩიკოვა, ნანი გუგუშვილი, რობერტ ნადარაია, თამილა კუპრავა, რუსუდან ჭოჭუა, ჯანო დანელია. თეა დუნდუა.

2016-2017 სასწავლო წელს ჩვენი ქალაქის სამი სკოლის იუბილე აღენიშნება. პირველ საჯარო სკოლას დაარსებიდან 150 წელი უსრულდება. მე-6 საჯარო სკოლას 100 წელი, ხოლო მე-3 საჯარო სკოლას 55 წელი. სცენაზე მიიწვიეს ამ სკოლების ხელმძღვანელები.

ქალბატონ თინა ჭოჭუას 100 წლისთავთან დაკავშირებით ქიმიაში საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე ახალგაზრდებს ყოველწლიურად გადაეცემათ მისი სახელობის ჯილდო.

90 წლის იუბილე და პედაგოგიური საქმიანობის 60 წლისთავი მიულოცეს ღვაწლმოსილ პედაგოგს ქალბატონ კლარა წურწუმიას.

ნელი გეგეშიძის ფონდი 20 წელია აჯილდოვებს წლის საუკეთესო მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომელთაც სათავეში უდგას ქალბატონ ნელის ვაჟი ბატონი ვასილ სოფრომაძე, სცენაზე მიიწვიეს კონკურსში წლის საუკეთესო გამარჯვებულები,რომელთაც ფულადი პრემიები გადასცა ფონდის პრეზიდენტმა ბატონმა ალეკო დოლბაიამ.

წლის საუკეთესო მოსწავლეების დაჯილდოვებას შეუერთდა ეიპიემ ტერმინალი, მისმა წარმომადგენელმა მარიკა ნადარაიამ ნომინანტ პედაგოგებს ფულადი ჯილდოები გადასცა და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების ცენტრი ,,ფენიქსი" (დირექტორი დათო შურღაია)შეუერთდა მასწავლებელთა დაჯილდოვებას და წაახალისა ახალგაზრდა პედაგოგები, რომელთაც წელს პირველად შეაღეს სკოლის კარები. მათ საჩუქრები გადასცა განათლებისა და კულტურის კოორდინატორმა ქალბატონმა ნინო ჯაკონიამ.

ასეთი დაჯილდოვება უპრეცედენტო შემთხვევაა.

მაშ გზა დავულოცოთ პედაგოგებს, პატარა საქართველოს დიდი მოქალაქეების აღზრდის საქმეში.

შემდეგ სცენა დაეთმო საყვარელ მომღერალ ლაშა ღლონტს და თბილისურ კვარტეტს.

## მილოცვა ნინო ჩილიპს



ჩვენო პატარა ფერია, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებ ბედნიერ, სიყვარულით აღსავსე ცხოვრებას, მეგობრების შეძენით, ცოდნის დაუფლებით გაბრწყინებულ აღმაფრენას.

წინ ცხოვრების დიდი გზაა, დაე, სიყვარულით, წარმატებით გატაროს ღმერთმა.

**პატარა მეგობრები**

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

# ფოთის რიტუალსერვისი ჯილდოს – ,,რეიტინგი ოქროს" მფლობელი
## ვახტანგ გოგიშვილი-მთელი ცხოვრება ხალხის სამსახურში



ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამორჩეულ ადამიანებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ და სწორედ, მათი დიდი კაცობა და ღირსებაა დიდი მეგზური ხალხის გულებისაკენ, ფოთელებს ეიმედებათ ისეთი თანაქალაქელის როგორიც ბატონ ვახტანგ გოგიშვილი გახლავთ. არც მისი ცხოვრების გზა ყოფილა იოლი და სწორხაზოვანი,-იყო დაუღალავი შრომა და წარმატებები,რაც განაპირობებდა მრავალმხრივ განათლებას, კომუნიკაბელურობას, შესაძლებლობას გულთან მიეტანა სხვისი გასაჭირი, რაც ნამდვილად გვაკლია წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრებაში,როცა ადამიანებს შორის ურთიერთობა თითქმის შეწყდა.

ვახტანგ გოგიშვილი უპირველესად თავის ქვეყნის პატრიოტია, მისი ადათ-წესების დამცველი, რწმენით გულანთებული, კაცთმოყვარე, მან დიდი ხანი არაა, რაც ახალ სამსახურს ჩაუყარა საფუძველი,რომ იტყვიან ნულიდან დაიწყო, და აქაც გამოჩნდა მისი დიდი მონდომება, ორგანიზატორული ნიჭი-რიტუალების სამსახური მართლაც გამორჩეულია რეგიონში და ხშირად იწვევენ დიდი ღონისძიების თუ დიდსტუმრიანობის დროს. საქართველოში ყველა რიტუალი ხელოვნების დონეზეა აყვანილი-ქორწილი ხომ სპექტაკლია, დაბადების დღე-დღესასწაული. დიზაინით გამორჩეულია ყველა შენობა, რომელიც ქალაქის ყველა უბანშია განთავსებული, არ იყო იოლი კვალიფიციური მოსამსახურე პერსონალის მომზადება-მაღალი კულტურა, ვიზუალი, პროფესიონალი მზარეულები ერთიან კომპლექსს ქმნიან განწყობისა და მომსახურების. მოკლედ, ბატონი ვახტანგი ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარეა,რას იზამ,ასეთია ცხოვრება-ვიღაც მოდის, ვიღაც გვშორდება, მაგრამ სიცოცხლის ძაფი არ წყდება, ყველას ეიმედება ამ დიდი კაცის, ისეთი გვერდში დგომა იცის-ხელშეწყობა, გიგებთ რა გიჭირთ, რისი შესაძლებლობა გაქვთ და ბევრ რამეს მის სინდისზე, მის კაცობაზე იღებს. ამასთან ქველმოქმედიცაა, არცერთ ღონისძიებას არ აკლდება, მაგრამ ყველაფერს აკეთებს ჩუმად და უხმაუროდ, როგორ გვაკლია დღეს ასეთი, ნაღდი, ალალმართალი კაცები,უღალატო,ერთგული,ბოლომდე გამტანი და დამფასებელი. ქართული სუფრის, ტრადიციების დიდი მოამაგე, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, რომელმაც ფოთელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა, მართლაც რომ კარგი მასპინძელია და ყველა ემადლიერება გულითადობისათვის, თანადგომისათვის. კოლექტივიც,როგორც ერთიანი ორგანიზმი, მობილიზებულია, რათა ყველა კმაყოფილი იყოს მომსახურებით, ყურადღებით, სითბოთი. დღითი-დღე იზრდება აქ დასაქმებულთა რაოდენობა, - მალე 100 გადააჭარბებს, ეს დიდი წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენია-ნაციონალური ბიზნესრეიტინგის სამსახურს. ფოთის რიტუალების სერვისი, რომელსაც ვახტანგ გოგიშვილი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარა 2014-2016 წლის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის მიხედვით და დააჯილდოვა დიპლომით- ,,რეიტინგი ოქრო", საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსური-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობით გამორჩეული-ეს ჯილდო სერვისის დირექტორთან ერთად გადაეცემა მის საუკეთესო თანამშრომლებს.

წარმატებას წარმატება მოსდევს, დღეს სარიტუალო სამსახური ქალაქის სავიზიტო ბარათია, გვჯერა, იგი კიდევ უფრო გაფართოვდება ქალაქის გეოპოლიტიკური, ტურისტული პერსპექტივის გათვლით, ცხოვრებაც გახალისდება,გამხიარულდება, ადამიანებს ექნებათ იმის განწყობა, რომ მოეფერონ ერთმანეთს, იქნება დაბადების დღეების დღეების აღნიშვნა სტუმრობა და ბანკეტები, იქნება დაუვიწყარი ქართული სუფრები, ნამდვილი აკადემია, სადღეგრძელოებით, ცეკვით, სიმღერებით, ლექსთა შეჯიბრით, ალავერდით და მოფერებით.

და კიდევ ერთი მთავარი რამბატონი ვახტანგი დიდებული მეუღლე, მამა და ბაბუა, ოჯახი მისი ციხე და კარია,ბურჯი სახელმწიფოსი ყველა პარამეტრით, ახალი წარმატებები ვუსურვოთ დიდ კოლხ კაცს, ერის შვილსა მისი ტრადიციების დამცველსა და მოამაგეს.

**ზ. ნარაძე**

# არჩევნები არჩევნები არჩევნები არჩევნები არჩევნები

## ქალაქ ფოთის 70-ე და 61-ე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის პირველი ტურის საბოლოო შედეგები

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 52 053, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 27 636, 52,90%

| წარმდგენი | კანდიდატის სახელი, გვარი | მიღებული ხმების რაოდენობა % |
|---|---|---|
| 42. საინიციატივო ჯგუფი - ვიტალი ფიფია, ზურაბ წოწორია, მადლენა პაპიაშვილი, ლილია შამათავა, ანჟელა შაკაია | ლაშა შამათავა | 128 ხმა-0 47 % |
| 26. ,,ეროვნული ფორუმი" | ოთა ხარჩილავა | 2941 ხმა-11 % |
| 6. უსუფაშვილი-რესპუბლიკელები | ლელა ებრალიძე | 416 ხმა-1 61 % |
| 25. პ/მ ,,მემარცხენე ალიანსი" | კონსტანტინე გუგუშვილი | 58 ხმა-0 21 % |
| 27. ,,ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები" | თენგიზი ჩაკვეტაძე | 1016 ხმა-3 80 % |
| 5. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | ბექა ბასილაია | 6856 ხმა-25 65 % |

| წარმდგენი | კანდიდატის სახელი, გვარი | მიღებული ხმების რაოდენობა % |
|---|---|---|
| 1. ,,პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის" | კონსტანტინე კემულარია | 872 ხმა-3 26 % |
| 41. ,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო" | ირაკლი ხახუბია | 12922 ხმა-48 3 % |
| 2. პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა ,,თქვენთან, თქვენთვის, თქვენთან ერთად" | ზაზა მჟავია | 113 ხმა-0 42 % |
| 14. ,,დავით თევზაძე-საქართველოს მშვიდობისათვის" | ლაშა ქორავა | 57 ხმა-0 23 % |
| 8. ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | ფრიდონ კვარაცხელია | 967 ხმა-3 1 % |
| 10. ,,საქართველოს ლეიბორისტული პარტია" | ზურაბ ლომია | 313 ხმა-1 17 % |
| 28. ,,ზვიადის გზა-უფლის სახელით" | იზოლდა გრიგოლია | 45 ხმა-0 16 % |

*მეორე ტური გაიმართება 53 ოლქში, აქედან თბილისში - 18, რეგიონებში - 35 ოლქში,*
*ოლქების უმეტესობაში მეორე ტურში ერთმანეთს ,,ქართული ოცნება" და ,,ნაციონალური" მოძრაობა დაუპირისპირდება. გამონაკლისია ჭიათურა, სადაც მეორე ტურში ,,ქართული ოცნება" და თავისუფალი დემოკრატების კანდიდატები მიიღებენ მონაწილეობას. ასევე - გორი, იქ ირაკლი ალასანია დაუპირისპირდება იოსებ მაკრიხაძეს ქართული ოცნებიდან. ხაშურში ,,ქართული ოცნების" კანდიდატი ვალერი გელაშვილი - სიმონ ნოზაძეს ,,მრეწველებიდან" გაუწევს კონკურენციას, მცხეთაში კი მმართველ გუნდს დამოუკიდებელი კანდიდატი ცეზარ ჩოჩელი დაუპირისპირდება, რაც შეეხება თბილისს, აქ მხოლოდ ოთხმა კანდიდატმა გადალახა 50%, გიორგი ვოლსკიმ, ზაზა ხუციშვილმა, ნინო გოგუაძემ, მამუკა მდინარაძემ.*
*P.S. ექსპერტთა აზრით ,,ქართული ოცნება" სავარაუდოდ 115-117 მანდატით მეორე ტურის შემდეგ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს*

# მიმართვა ფოთელ ამომრჩევლებს!

ფოთელებო!!!

უწყით და ხარობთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ და ერმა მაღალი პოლიტიკური კულტურითა და გემოვნებით ჩააბარა 2016 წლის 8 ოქტომბერს სამშობლოსა და მსოფლიოს თანამეგობრობის წინაშე უდიდესი და ურთულესი გამოცდა! სანიმუშოდ ჩაატარა საპარლამენტო არჩევნები! რომელმაც ჩაიარა მშვიდობიანად და კანონიერად, ამ არჩევნებით ჩვენმა ერმა ამცნო სამყაროს თავისი პოლიტიკური ნება და უარი უთხრა ძალადობას, ცინიზმს ძალმომრეობას და კორუფციას! არჩევანი გაკეთდა ადმშენებლობის, სიყვარულისა და ქვეყნის კეთილგონივრული განვითარების სასარგებლოდ, რაც თვაინთ შეხედულებებში დააფიქსირეს ყველა საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებელმა! მაგრამ... მე ვერ მივცემ ნებას ჩემს თავს შევაფასო ჩვენი ქალაქის არჩევანი! ოღონდაც შემოგბედავთ და გავაჟღერებ ჩემს კონკრეტულ მოსაზრებას. ვერ გავბედავ მიმოვიხილო სხვა ქალაქებისა და რაიონების მიერ გაკეთებული არჩევანის შეუცდომლობას მაჟორიტარი კანდიდატების მიმართ, ეს კია, რომ ჩვენ ამომრჩევლებს და ქალაქის გულშემატკივრებს შეცდომა მოგვივიდა, რომ ამ ქალაქის ღირსეულად ღირსეულ სახედ საქართველოს პარლამენტში წარმოსაჩენად განმეორებითი ტური დასჭირდა. მაგრამ უიმედო მდგომარეობა არ არის და გვჯერა მეორე ტურში ამ შეცდომის გამოსწორება. ამიტომ საჭიროა დავირაზმოთ **ირაკლი ხახუბიას** გარშემო და ხელი არ შევუშალოთ სიკეთის ქმნაში.

ბესო დოლბაია

## ცენტრალური საარჩევნო კომისია საპარლამენტო არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის წინასწარ შედეგებს აქვეყნებს.

მარნეულის №48 საარჩევნო უბნის წინასწარი მონაცემებით, კანდიდატებს შორის მიღებული ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:
"პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისათვის" - ისრაფილ ბაირამოვი - 3 ხმა.
ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა - ვეფხია გურგენიშვილი - 2 ხმა.
"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - აკმამედ იმამკულიევი - 381 ხმა.
"თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის"- ელდარ მუსტაფაევი - 4 ხმა.
"დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია" - ალი ისაევი - 7 ხმა.
"საქართველო"- ომარ წამალაიძე 1- ხმა.
"ჩვენები - სახალხო პარტია" - თეონა ქავთარია - 0 ხმა.
"ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - თამაზ ნავერიანი - 313 ხმა.
№48-ე საარჩევნო უბნის განმეორებითი კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის გათვალისწინებით, წინასწარი მონაცემების მიხედვით, №36ე მარნეულის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საუკეთესო შედეგის მქონე შემდეგი 2 კანდიდატია:
№5 აკმამედ იმამკულიევი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 10 026 ხმა (48,11%)
№41 თამაზ ნავერიანი "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" – 9 051 ხმა (43.43%)
ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული განმეორებითი კენჭისყრის წინასწარი მონაცემებით, სამივე საარჩევნო უბნის შედეგები შემდეგია:
"პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის" - ბესიკ თოდუა – 8 ხმა (0,56%)
"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- სანდრა ელისაბედ რულოვსი – 438 ხმა (30,50%)
"თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის"- ჯონდი ზარანდია - 5 ხმა (0,35%)
"დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია"- ირაკლი ჩანგელია - 2 ხმა (0,14%)
"ზვიადის გზა - უფლის სახელით" რამაზ ჩაჩიბაია - 2 ხმა (0,14%)
"ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" -ედიშერ თოლორაია - 981 ხმა (68,31%)
სამივე საარჩევნო უბნის განმეორებითი კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების გათვალისწინებით წინასწარი მონაცემების მიხედვით, №66-ე ზუგდიდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საუკეთესო შედეგის მქონე შემდეგი 2 კანდიდატია:
№5 სანდრა ელისაბედ რულოვსი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 10 692 ხმა (44.8%)
№41 ედიშერ თოლორაია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" - 11 607 ხმა (48.63%)
შესაბამისად, განმეორებითი კენჭისყრის წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით, ორივე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გაიმართება არჩევნების მეორე ტურები.

პიროვნება დროში

# ნუნუ ჭელიძე-ქალი მწიგნობარი, მეცნიერი, ქველმოქმედი



საქართველოში ქალის კულტი ოდითგან არის ცნობილი და ქალს რომ დიდი როლი აკისრია ქართულ საზოგადოებაში არ ახალია.

გენდერული თანასწორობა,რაც დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი თემაა. საქართველოში მე-12 საუკუნეში ბრწყინვალედ გადაჭრეს ქართულმა პოეტმა შოთა რუსთაველმა თავის პოემა ,,ვეფხისტყაოსანში,სადაც აღნიშნა, რომ ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”.

ან რა გამოლევს ქართველ ქალთა სახეებს საქართველოს ისტორიაში, ან თუნდაც ჩვენს პატარა ქალაქში.

დღეს აქ ვერ ჩამოვთვლი ფოთელ ქალთა სახელებს,რომლებიც ამინდს ქმნიდნენ ქართულ პოლიტიკაში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ სწორედ ერთ ასეთ ქალბატონზე,ჩვენი ქალაქის მკვიდრზე, ნუნუ (ნუნუკა) ჭელიძეზე გვინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

ფოთის №16 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნუნუ ჭელიძე 1974 წელს თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკამცოდნეობის-ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე ჩაირიცხა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1979 წელს. 1974-1977 წლებში სწავლობდა საზოგადოებრივ პროფესიათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ,,სამართლებრივი აღზრდის მეთოდისტის პროფესია”. 1980-91 წლებში მუშაობდა საბჭოთა ორგანოებში, იყო ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პასუხისმგებელ თანამდებობაზე.

1991-98 წლებში მუშაობდა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორად. 2007 წლიდან დღემდე მუშაობს ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორად, ყავს მეუღლე თამაზ ჩიტაია, იურისტი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნიჩბოსნობაში (კანოე). შვილი თეიმურაზ ჩიტაია -იურისტი მუშაობს საქართველოს პარლამენტში. რძალი თამარ წიკლაური პარლამენტის თანამშრომელია და პატარა შვილიშვილი ნუციკო ხომ ყველას ურჩევნია...

ნუნუ ჭელიძე 1991-2009 წლებში არაერთხელ იმყოფებოდა საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის სემინარებსა და კონფერენციებზე.

ნუნუ ჭელიძეს საქმიანი კონტაქტები აქვს აშშ-სა და სხვა სახელმწიფოების საელჩოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან,



რომელთა მეშვეობით ხორციელდება საინტერესო პროექტები.

2002 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, განათლების და კულტურის საკითხთა ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით გაიარა სტაჟირება აშშ-ს კალიფორნიის შტატში.

ნუნუ ჭელიძის ძალისხმევით მთელი საბიბლიოთეკო ფონდები გადაყვანილ იქნა ათწილად კლასიფიკაციაზე და 1998 წელს მიენიჭა საბაზო ბიბლიოთეკის სტატუსი, მისივე ინიციატივით შეიქმნა საბავშო თეატრი, ახალგაზრდა ლიტერატორ შემოქმედთა წრე და ქალთა სალონი. განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება იგი ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის მუშაობას, სადაც ასწავლიან ინგლისურ ენასა და კომპიუტერებით სარგებლობას. აწყობენ შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან და მრავალ საინტერესო ღონისძიებებს.

ნუნუ ჭელიძე არის ასევე საზოოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საქალაქო ცენტრის,ქალთა საბჭოსა და რესპუბლიკური საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი.

მზადააქვს გამოსაცემად წიგნი - ,,ფოთის ბიბლიოთეკებისა და სტამბის მუშაობის შესახებ”.

ნუნუ ჭელიძის განათლებასა და ერუდიციაზე მეტყველებს ის, რომ საბიბლიოთეკო გაერთიანებას მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო გრანტი, ასე მაგ:2002 წელს ,,საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის განვითარება”-აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი. 2005 წელს ინგლისური ენის კაბინეტი, 2010 წელი- უსინათლოთა ინტეგრაციის კაბინეტი (ხმოვანი წიგნები) აშშ,2011-2013წლები ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტი ,,დავეხმაროთ ბიბლიოთეკას”-კულტურის სამინისტრო. 2014 წელი ახალგაზრდა ხელოვანთა კლუბი აშშ. 2014 წელი მკითხველთა კონკურსი- კულტურის სამინისტრო და ა.შ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ნუნუ ჭელიძე მოზღვავებული ენერგიით, სიყვარულით ახსავსე,მუდამ მხიარული,ლამაზი... იგი ყოველ დილით მიიჩქარის სამსახურში და არ შეიძლება თვალი არ გააყოლო მის საქმიან და ამაყ მოძრაობას. თუ დაგინახა გაგიღიმებს,მოგესალმება და შენც გადმოგედება ის დადებითი აურა, რომელიც მთელი დღე გაგყვება ჩემი თაობის ფოთელებს ახსოვს მისი პირველი ნაბიჯები ქალაქის საბჭოს აღმასკომში რომ დაიწყო და დღეს უკვე ცხოვრების გამოცდილებით, ადამიანებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი ძალისხმევით აბამს სიყვარულის ოქროს ძაფებს, რითაც ამკვიდრებს ჯანსაღი საზოგადოების ურთიერთობას.

დღეს ყველა ასაკის ადამიანს მიუხარია ბიბლიოთეკისაკენ, რამეთუ იქ დახვდებიან სითბოთი აღსავსე ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ უსიყვარულოდ არაფერი არ კეთდება ამ ქვეყანაზე.

სტენდები, სტელაჟები, კარადები, და რაც მთავარია წიგნები, ეს მოლაპარაკე ლამაზი ქაღალდის კონები, შემოგცქერიან და გინდა თითოეულ მათგანს შეეხო, მოეფერო, გადაფურცლო, აუხსნა სიყვარული. ნუნუკა, როგორცხ მას ფოთის საზოგადოება მიმართავს, არამარტო დირექტორია, არამედ მზრუნველი დედაა, რომელიც წიგნებს, როგორც შვილებს მზრუნველობით ეკიდება და თვალებში შესციცინებს, რამე ხომ არ ტკივა,ვინმემ ფურცელი ხომ არ აახია, ან რამე ხომ არ დაუზიანა.

ამიტომ მას ხშირად უწევს სტელაჟებსა და კარადებს შორის სიარული, ეს დაუზარელი ქალბატონი არამარტო წიგნების სიყვარულითაა მუდამ დაკავებული, არამედ დიდ საქველმოქმედო საქმეებსაც ეწევა.

ბიბლიოთეკა არამარტო წიგნების გაცემითაა დაკავებული, არამედ აქ ხშირად იმართება მკითხველთა კონფერენციები, საქალაქო და სასკოლო ღონისძიებები. ახალგაზრდა თუ ხანდაზმულ მწერლებთან, პოეტებთან შეხვედრები. სისტემატიურად იმართება, ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადოებრივი დარბაზის სხდომები. საქალაქო და მრავალი სხვა საქალაქო ღონისძიებები. მათი ჩატარება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ჯერ მარტო სამკითხველო დარბაზის მოწყობა, სამუსაო გარემოს შექმნა დიდ



ენერგიას, პასუხისმგებლობას და უდიდეს ენთუზმიაზმს მოითხოვს, რაც ნუნუ ჭელიძეს ღვთის მადლით მოჭარბებულად გააჩნია.

ნუნუკა ჭელიძე მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა გიყვარდეს და ემსახურო ქვეყანას, ხალხს, საზოგადოებას, ოჯახს.

იხარე და იდღეგრძელე ჩვენო ლამაზო და დიდი ქალბატონო. მაღალი ღმერთი გფარავდეთ შენ და შენს ლამაზ ოჯახს.

ვანო ნარმანია

დიდი იუბილე

# ვანო პატარაია –90

წლები ჩემი სიმდიდრეა

## მისი ცხოვრების დევიზია-,,ქვეყანა ტაძარი კი არ არის, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა იღვაწო”

11 ოქტომბერს ბატონ ვანო პატარაიას 90 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში. ამიტომაც ხმამაღლა ამბობს წლები ჩემი სიმდიდრეაო,და მართალიც ბრძანდება,რამეთუ მას აღარაფერი მოუხვეჭია,ამ ხნის მანძილზე გარდა სახელისა: ,,სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა” და სწორედ 90 წლის იუბილეზე მას მიენიჭა ყველაზე დიდი ჯილდო, ფოთის საპატიო მოქალაქეობა. ამან კი ნამდვილად გაახარა და დაამშვენა მისი 90 წლის იუბილე.

ამ დიდი იუბილის აღსანიშნავად რესტორან ,,კაპარჭინაში” შევიკრიბეთ მისი ახლობლები,რამეთუ კაპარჭინა და ბატონ ვანოს ცხოვრება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. სწორედ მისი წყნარი ლივლივი აგონებს მას იმ გარდასულ,საინტერესო, მჩქეფარე სიცოცხლის გზას, რომელიც არც თუ იავარდებით იყო მოფენილი.

ვანოსთან ინტერვიუ ჩვენ ჩავწერეთ 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა მის ცხოვრებაში და დღეს 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით გთავაზობთ ამ ინტერვიუს შემოკლებით.

ადამიანის პირადი ცხოვრება ერთგვარი ხელოვნებაა. ვანო პატარაია უპირველესად ხელოვანია როგორც საქმიანობაში, ასევე პირად ცხოვრებაში. 90 წლის გადასახედიდან გაჰყურებს იგი განვლილ გზას და ეამაყება, რომ კაცურად უცხოვრია, საქვეყნო საქმე უკეთებია. ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია.როგორც ძირძველ ფოთელს ღირსეულად უტარებია მისი სახელი. დინჯი,პრინციპული,განათლებული, პატიოსნებითნათელცხებული მუდამ გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგულებით უღალატო და მოსიყვარულე, ასეთად იცნობენ მას ფოთელები.

ივანე ივანეს ძე პატარაია დაიბადა 1926 წლის 11 ოქტომბერს ფოთში. 1934 წელს შეუყვანიათ ფოთის 11 სშუალო სკოლაში, რომლის 7 კლასი 1941 წელს დაუმთავრებია და იმავე წელს სწავლა გაუგრძელებია ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში, რომელიც 1944 წელს ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით დაუმთავრებია. 1944 წელს მუშაობა დაიწყო ფოთის რკინიგზის მოძრაობის დარგში ტექნიკურ-მეანგარედ რკინიგზაში მუშაობის პერიოდში დააჯილდოვეს მედლით ,,შრომით მამაცობისათვის 1941-45 წწ დიდ სამამულო ომში” 1947 წელს ,,კოლხიდმშენის” ობიექტზე სამუშაოების გაშლასთან დაკავშირებით ვანო პატარაია გადაიყვანეს კოლხიდმშენში საპროექტო-საძიებო ჯგუფში ტექნიკოსად და არჩეული იყო საქ ალკკ XXX ყრილობის დელეგატად. იმავე წელს მიიღეს საქ. კომპარტიის რიგებში. ვანო პატარაია 1947 წელს ჩაერიცხა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1956 წელს, ჰესეს ექსპლოატაციაში გასვების შემდეგ გადაიყვანეს ჰიდროტექნიკურ საამქროს უფროსად.

1957 წელს ვანო პატარაია გადმოდის თავის მშობლიურ ქალაქში და მუშაობას იწყებს ადგილმრეწველობაში, ადმინისტრაციულ სახლის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად და ამავდროულად ძირითადი წარმოების ტექნიკური კონტროლის უფროსად ხოლო 1960 წელს მუსაობა დაიწყო სახალხო ბანკის ფოთის განყოფილებაში უფროსი უნჟინრის თანამდებობაზე.

1964 წელს ბატონი ვანო გადაყვანილ მანქანათმშენებლობის სამინისტროს 4 სამშენებლო სამმართველოში უფროს სამუშაოთა მწარმოებლად. 1965 წელს იგი მშენბანკის ფოთის განყოფილების უფროსი ინჟინერია, ხოლო 1973 წლიდან ბანკის მმართველია, სადაც იმუშავა 1987 წლამდე. პენსიაში გასვლამდე და დაინიშნა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია. მშენბანიკის ფოთის განყოფილების უფროსად ყოფნის პერიოდში ბატონი ვანო 4-ჯერ იმყოფებოდა მოსკოვსა და ლენინგრადში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. 1983 წელს ვანო პატარაიას მიანიჭეს ,,სსრ კავშირის მშენბანკის ფრიადოსნის” საპატიო წოდება. 1987 წელს ვანო პატარაია დაუბრუნდება ,,კოხლიდშენის სისტემას და დაიკავა უფროსი ინჟინრის თანამდებობა. ასე,შრომასა და ჯაფასი გაილია ცხოვრების წლები და ვანო ამჟამად ამზადებს მოგონებათა წიგნს, რომელსაც მალე იხილავს საზოგადოება.

ჩვენ კი ბატონ ვანოს ვულოცავთ დაბადების 90 წლის იუბილეს, ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

დაე,კიდევ დიდხანს იხაროს თავისი ქალაქის აღმშენებლობით, ოჯახის ბედნიერებით, შვილებისა და შვილისვილების ნამრავლით.

ი. სპერი

კარგსა კაცსა კლავ სიკვდილო, თავადაც არა კვდებით?

# თემური ოდიშარიას ნათელ ხსოვნას



ამას წინათ უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ერთი კარგი, ნაღდი, უღალატო, შრომისმოყვარე, პატიოსანი, ერთგული პიროვნება თეიმურაზ ოდიშარია.

სულ 50 წელი იცოცხლა მან ამ ქვეყნად. ეს ხომ სიცოცხლის შუადღეა, როცა მზე შუბის ტარზეა, არადა ამ დროის მცირე მონაკვეთში, მხოლოდ საქვეყნო საზოგადოებრივი საქმეები უკეთებია, პატიოსნად, ალალმართლად ემსახურებოდა იგი თავის ქვეყანას, ხალხს.

ბოლო დროს საქართველოს იუსტიციის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოღვაწეობდა. სადაც თავი კეთილსინდისიერებით და პატიოსნებით გამოიჩინა. გამორჩეულად უყვარდა მას, ფოთი და ფოთელები, დედა დაგმარა ჭითანავა მთელი ცხოვრება მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იყო და სულ ახლახან მივაბარეთ მშობლიურ მიწას.

მავანი იტყვის უღალატაო ოჯახს, თემური როგორც ზემოთ ვთქვით უღალატო კაცი იყო, ეს კი ბედისწერა იყო, რომელსაც ვერავინ გაქცევია და ვერც თემური გაექცა, დარჩა ოჯახი უმამოდ. მეუღლე - მაიკო ურთმელიძე ცნობილი ინტელიგენტის ნოდარ ურთმელიძის შვილია და ფოთის რეგიონალურ ნარკოლოგიურ ცენტრში მოღვაწეობს. დაკარგა მან მზრუნველი მოსიყვარულე მეუღლე, დღეიდან მას დააწვება ოჯახის ქვმთელი სიმძიმე და გვჯერა იგი ღირსეულად გაუძლევება ოჯახს. ღმერთის შეწევნით დაიზრდებიან შვილები და გააგრძელებენ მამის გზას და წმინდად შეინახავენ მის ხსოვნას.

ღმერთო ნათელში ამყოფე თემური ოდიშარიას სული, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა, სანთელ საკმეველი არ მოკლებოდეს მის საფლავს.

მეგობრები:

გერონტი კუხალეიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ლეილა კაკულია, ირა ფაცია, ნანა თოფურია, გია დარჯანია, რამინ აბლოთია, ვახტანგ ხორავა, ბექან ჯალაღანია, დავით პაჭკორია, ნაპო თოდუა, გოგი გუდავაძე, ჯემალ გურგენაძე, ჯონი გურგენაძე, ვასილ თოდუა, კორნელი სართანია, გიგლა გვიჩია, ვაგნერ მხეიძე, პაატა გეგენავა, გიზო ხარჩილავა, ჯემალ მიგინეიშვილი, ზურაბ აბრალავა, ვანო ნარმანია, ბორის ლოლუა, თემურ დოლბაია, იგორ ღურჯია თანაუგრძნობენ ოდიშარიების ოჯახს

თეიმურაზ ოდიშარიას გარდაცვალების გამო.

---

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

# ბადრი ჯღარკავას ხსოვნას



ადამიანები უკვდავები არავართ, მაგრამ მეგობრის წასვლა საადრევად დიდ ტკივილსა და სევდას გვიტოვებს, ეს-ეს იყო ცხოვრების შუადღეს გადააბიჯა და აღმართს შეუყვა, რათა უკან მოეხედა განვლილი გზისთვის და ნაამაგარით დამტკბარიყო, თუმცა, ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაშიო, სულ შრომით და წვალებით მოდიოდა, თავისი ნიჭით მიიკვლევდა გზას ცხოვრების ლაბირინთებში, მამა ადრე გარდაეცვალა, სითბო, სიყვარული დააკლდა, მაგრამ დედის გარჯას, მამის ხსოვნას პატივს მიაგებდა კარგი სწავლით, კაცობით, მისი ცხოვრების დევიზი იყო-დათესე სიკეთე და მშვიდად იძინეო. უსამართლობას ებრძოდა ყველგან, მედროვეებს, მომხვეჭელებს არ ეპუებოდა, ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა განვლო - რიგითი კომკავშირელიდან პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნობამდე. სამეურნეო დარგშიც დიდი ორგანიზატორული ნიჭი და ხედვა გამოავლინა, უყვარდა უბრალო, მშრომელი ადამიანები, ისინიც უფასებდნენ ამაგს.

სამშობლოს, ხალხის სამსახურში გაილია კიდევ ერთი კეთილი კაცის ცხოვრება. კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო-ერთი აქ დასატოვებელი და მეორე იქეთ წასამძღვარებელიო, მას არც ერთი აკლდა და არც მეორე, იშვიათია კაცი ასეთი მოვალეობის გრძნობით ქვეყნისა და ერის წინაშე, მისი წარსულის დამფასებელი, დღევანდელობის პირუთვნელი შემფასებელი, ძალიან აწუხებდა ძმათა შორის შუღლი და მტრობა, ასობით პარტიათა უაზრო კინკლაობა, ქართველობა ეროვნულობა კიარა ბედისწერააო იტყოდა, ცრემლშეუმშრალი ისტორია ქვეყნისა.

მისთვის მთავარი ციტადელი ოჯახი იყო, ყველაფერს მისი ხელი ეტყობოდა, შვილიშვილი შეეძინა, სუფრისთვის, სტუმრებისათვის ემზადებოდა, მაგრამ ვერ მოასწრო მათთან შეხვედრის სადღეგრძელოს აღება, სიმბოლურია თითქოსამ ქვეყნად მოვლენა და იმ ქვეყნად წასვლა, სიცოცხლე გრძელდება, ძაფი არ წყდება.

ჩუმად იცხოვრა ჩუმად წავიდა, ისე უბრალოდ, თითქოს სადღაც ახლოს მიდიოდა, ადგა და წავიდა, საით?- გვაწვალებს ეს კითხვა.

,,ეს გზა მეც ვიცი საითკენ მიდის, შენ მხოლოდ ის გზა, ის გზა მითხარი", მიდის და მიყვება დარდი ამა ქვეყნისა, მიდის ღვთიური გზით კაცთა წინაშე ვალმოხდილი,-,,დროს მიაქვს ყველა ძველი ჩვენი კაცობის გარდა".

გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი, თორემ განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია, ,,სიკვდილის გზა არა არის ვარდისფერ გზის გარდა"...

ღმერთს ებარებოდეს შენი დიდებული სული.

მეგობრები:

გერონტი კუხალეიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ლეილა კაკულია, ირა ფაცია, ნანა თოფურია, გია დარჯანია, რამინ აბლოთია, ვახტანგ ხორავა, ბექან ჯალაღანია, დავით პაჭკორია, ნაპო თოდუა, გოგი გუდავაძე, ჯემალ გურგენაძე, ჯონი გურგენაძე, ვასილ თოდუა, კორნელი სართანია, გიგლა გვიჩია, ვაგნერ მხეიძე, პაატა გეგენავა, გიზო ხარჩილავა, ჯემალ მიგინეიშვილი, ზურაბ აბრალავა, ვანო ნარმანია, ბორის ლოლუა, თემურ დოლბაია, იგორ ღურჯია თანაუგრძნობენ ჯღარკავების ოჯახს

ბადრი ჯღარკავას გარდაცვალების გამო.

---

სადაურსა სად წაიყვან...

# ლაშა კუპრეიშვილის ხსოვნას



სიკვდილს ვერავინ გაექცევა, მაგრამ , როცა ახალგაზრდები ნაადრევად ტოვებენ სიცოცხლეს, ძნელი გადასატანია, მით უფრო მშობლებისათვის უკვდავი არავინაა და ცხოვრების აზრიც ხომ სიცოცხლის გაგრძელებაა, შვილებით, შვილიშვილებით, მათი შთამომავლობით, სამწუხაროდ, ბოლოს ისე აირია ცხოვრება-დარდი და ტკივილი არ გვცილდება, რა ბედნიერი იყო ლუარა და დავით კუპრეიშვილების ოჯახი, გამორჩეული, სტუმართმოყვარე, კეთილშობილებით აღსავსე. დათო ხომ დიდი მეცენატი იყო, როგორც წარმატებული ბიზნესმენი, მაგრამ არც აცალეს ვითომ დემოკრატებმა-გზა გადაუღობეს, გაამწარეს, როგორც სხვა ათასობით, ეს ტკივილი კიდევ ასატანია, მაგრამ შვილის უეცარმა გარდაცვალებამ ყველაფერს გადაამეტა, როგორ გაუძლონ - სიცოცხლის სიყვარული, იმედი, ოცნება, წარსულიც და მოგონებაც ერთად დაიკარგა. მერედა როგორი შვილი, ზრდილი, თავაზიანი, კაცთმოყვარე, ქალაქზე, სამშობლოზე, ოჯახზე, მეგობრებზე, ახლობლებზე უსაზღვროდ შეყვარებული, მრავალმხრივ განათლებული, ახლებურად მოაზროვნე. რამდენადაც ლამაზი ცხოვრება განვლო- სიხარულიანი დღეები, ქორწილი, მეგობრები, დღესასწაულები, შვილების დაბადების-შეხვედრის სიხარული, სამსახურეობრივი წარმატებები, იმდენად ტკივილიან მოგონებად რჩება ყოველივე.

კარგი მოსწავლე, მერე სტუდენტობა ალმა-მატერში; სამსახური, საპასუხისმგებლო თანამდებობებიფინანსთა სამინისტროში, ნავსადგურის ფლოტის უფროსი, ფოთის მერის მოადგილე, დიდი ჩამონათვალია... დიდი მიღწევებია სრულიად ახალგაზრდა პერსპექტიული კაცისთვის, მაგრამ მოხდა ისე, რომ ქვეყნის დატოვება მოუხდა უკეთესი მომავლის ძიებაში, კარგი სპეციალისტი, არაერთი ენის მცოდნე, ქვეყნის ოკეანის გაღმა უდიდეს სახელმწიფოს მიაშურა მეუღლესთან ერთად, პირველ წარმატებულ ნაბიჯებს დგამდა და ამ დროს უღალატა გულმა, რომელიც მთელ სამყაროს, უდიდეს სიყვარულს იტევდა მოყვასისას, სამშობლოსა და მშობლიური ქალაქის, რომლის მონატრებაც, ნოსტალგიაც არ ასვენებდა. როგორ უყვარდა ნაბადა და ნაბადელები-მშობლიური კუთხეკოლორიტული, ისტორიულად გამორჩეული კოლხეთის მხარე.

ასეთი ვაჟკაცები კუთხეს, უბანს, ქალაქს კი არა, ქვეყანას აკლდებიან, ღირსეული ცხოვრებით, შემართებით მაინც მოასწრო კარგი კაცის სახელის დატოვება და მარადიულობას შეუერთდა.

სადაც არ უნდა იყოს ქართველი კაცი, ორაგულივით ოდაბადისკენ მოიწევს, ისიც დაუბრუნდა მშობლიურ ფოთს, სამწუხაროდ, არყოფნის მარადისობით, მსუბუქი იყოს ფაზისის მიწა, ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

მეგობრები:

გერონტი კუხალეიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ლეილა კაკულია, ირა ფაცია, ნანა თოფურია, გია დარჯანია, რამინ აბლოთია, ვახტანგ ხორავა, ბექან ჯალაღანია, დავით პაჭკორია, ნაპო თოდუა, გოგი გუდავაძე, ჯემალ გურგენაძე, ჯონი გურგენაძე, ვასილ თოდუა, კორნელი სართანია, გიგლა გვიჩია, ვაგნერ მხეიძე, პაატა გეგენავა, გიზო ხარჩილავა, ჯემალ მიგინეიშვილი, ზურაბ აბრალავა, ვანო ნარმანია, ბორის ლოლუა, თემურ დოლბაია, იგორ ღურჯია თანაუგრძნობენ კუპრეიშვილების ოჯახს

ლაშა კუპრეიშვილის გარდაცვალების გამო.

---

# იცით თუ არა, რომ?

1. თურმე თეთრ სახლში 13.092-ზე მეტი დანა, ჩანგალი და კოვზია.
2. თითის ანაბეჭდის მსგავსად, ყველას ენის ანაბეჭდიც განსხვავებულია.
3. ტოკიოში ველოსიპედი უფრო სწრაფია, ვიდრე მანქანა.
4. ლას ვეგასის ვერც ერთ კაზინოში ვერ ნაახავთ საათს.
5. მონა ლიზას არ ჰქონდა წარბები. რადგან, რენესანსის ხანაში მოდაში იყო მათი მოპარსვა.
6. პირველი სახელი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე პოპულარული გახდა, არის მუჰამედი.
7. ტყეში ხანძარი უფრო სწრაფად ვრცელდება ზევით ვიდრე ქვევით ნაწილში.
8. 10000-მდე ჩიტი კვდება წელიწადში იმით, რომ ისინი ფანჯრებს ეჯახებიან.
9. ტომს ედისონს, ელ.ნათურის გამომგონებელს სიბნელის ეშინოდა.
10. ბუ ერთადერთი ფრინველია, რომლის თვალიც ლურჯ ფერს აღიქვამს.
11. ალბერტ ბრუკსის ნამდვილი სახელი და გვარი ალბერტ აინშტაინია.
12. 1952 წელს ალბერტ აინშტაინს ისრაელის პრეზიდენტობა შესთავაზეს.
13. კანადა ინდური სიტყვაა და ნიშნავს "დიდ სოფელს".
14. ზვიგენი ერთადერთი წყლის ბინადარია, რომელიც ორივე თვალს ერთდროულადახამხამებს.
15. "დრეამტ", (დრეამ)- ოცნება, ერთადერთი სიტყვაა ინგლისურ ენაში, რომელიც "მტ"-ით ბოლოვდება.
16. ვინსტონ ჩერჩილი დაიბადა მოცეკვავე ქალების ოთახში, ცეკვის დროს.
17. შეუძლებელია ადამიანმა დააცემინოს გახელილი თვალებით.
18. ადამიანს 7წთ. სჭირდება იმისთვის, რომ ჩაეძინოს.
19. თვალი წამში საშუალოდ 50 მოძრაობას აკეთებს.
20. კიტრი ხილია და არა ბოტნეული.
21. სოკო ცხოველია და არა მცენარე.
22. თავდაპირველად სუნამოს შუამდინარეთში იყენებდნენ, რადგან ისინი ცხოვრებაში ერთხელ ან ორჯერ იბანდნენ და აუტანელი სუნის თავიდან ასაცილებლად
23. თევზები ახველებენ.
24. კანტმა შექმნა ტაბულა, რომელზეც ტვინის წონის მიხედვით ადამიანი იყო იდიოტი, მასხარა, ჭკვიანი ან გენიოსი. გარდაცვალების შემდეგ მისი ტვინი აწონეს და ტაბულის თანახმად იდიოტების კატეგორიას მიაკუთვნეს.
25. და ვინჩის დისლექსია ახასიათებდა და უკუღმა წერდა.
26. გოოგლე ერთადერთია, რომელსაც ასი ნული მოსდევს.
27. ნებისმიერი ქაღალდის 7-ზე მეტ სიმეტრიულ ნაწილებად გადაკეცვა შეუძლებელია.
28. ძროხის კიბეზე აყვანა შესაძლებელია, ჩამოყვანა არა.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა